

ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომების აბსტრაქტები

2018-2019 სასწავლო წელი

**სალომე ჩირაძე - ჯანდაცვის სისტემის თავისებურებები და პირველადი ჯანდაცვის
განვითარების პრობლემები საქართველოში**

ხელმძღვანელი: თამარ ქობლიანიძე, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოც. პროფესორი
აბსტრაქტი: ნაშრომში განხილულია ჯანდაცვის სისტემის თავისებურებები, არსი და ჯანდაცვის მოდელები. დახასიათებულია საქართველოში მოქმედი ჯანდაცვის მოდელი. პარალელურად კი საქართველოში ჯანდაცვის სისტემაში მიმდინარე რეფორმები და მისი შედეგები. განხილულია აგრეთვე პირველადი ჯანდაცვის არსი, ფუნქციები, პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებები. დახასიათებულია მათი საქმიანობა და საფუძველი საოჯახო მედიცინის (ოჯახის ექიმი/სოფლის ექიმი) საქმიანობა.

კვლევის მიზანი და ამოცანები: კვლევის მიზანს წარმოადგენს პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების საქმიანობის ანალიზი. პირველადი ჯანდაცვის ობიექტები, მათი საქმიანობის სახეები და გასაკუთრებით საოჯახო მედიცინა ოჯახის (სოფლის ექიმი) ექიმის საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემები.

კვლევის საგანი: კვლევის საგანია წარმოადგენს პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებები და ოჯახის ექიმის ინსტიტუტი.

კვლევის ობიექტი: კვლევის ობიექტია, გამოკვლევის მიზნიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, პირველადი ჯანდაცვის რგოლის თბილისის ორი დაწესებულება: შპს „ოჯახის მკურნალი“ და შპს „მედალფა“. ჩატარებულია ოჯახის ექიმების გამოკითხვა და ვიზიტორების გამოკითხვა. გაანალიზებულია მოცემული მასალები და ჩამოყალიბებულია საოჯახო მედიცინის გაუმჯობესების საკითხები.

შორენა ჭელიძე - შრომითი რესურსები ჯანდაცვაში

ხელმძღვანელი: თამარ ქობლიანიძე, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოც. პროფესორი
ანოტაცია: ნაშრომში მოწოდებულია ინფორმაცია მაღალი კომპეტენციისა და შინაგანი მოტივაციის მქონე შრომითი რესურსის არსებობა, სადაც შრომითი რესურსის მაღალკვალიფიციურობა და დაუზარელი შრომა განსაზღვრავს ამ სფეროს მუშაობის ხარისხს. სამედიცინო მომსახურების საბაზო პაკეტის შემუშავება, ჯანდაცვის სისტემის მართვის დეცენტრალიზაცია, პირველადი ჯანდაცვის რგოლის სრულყოფა და ჰოსპიტალური სექტორის რეფორმა, მაღალი ტექნოლოგიების და სამედიცინო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დანერგვა, საყოველთაო ჯანდაცვის სისტემის ფუნქციონირება, სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება განათლების სისტემის რეფორმებისა და დიპლომისშემდგომი განათლების, სერტიფიცირებისა და ტრენინგების გზით.

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის მიზანი და ამოცანები. საქართველოში ჯანდაცვის შრომითი რესურსების განვითარების თავისებურებების შესწავლა, სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და ეფექტიანი განვითარების ხელშეწყობა სამედიცინო განათლების საფუძველზე.

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანი და ობიექტი. სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს ჯანდაცვის შრომითი რესურსების მართვის პრობლემები სხვადასხვა დონის ჯანდაცვის ობიექტებში, ხოლო კვლევის ობიექტს წარმოადგენს შრომითი რესურსები ჯანდაცვაში და მისი როლი როგორც, სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების საქმეში, ასევე, ეფექტიანობა სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაში.

ოთარ ბლუაშვილი - სოციალური პარტნიორობის როლი პერსონალის მართვის სისტემაში

ხელმძღვანელი: ლევან ლაზვიაშვილი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოც. პროფესორი

აბსტრაქტი: სოციალური პარტნიორობა ადამიანური რესურსების მართვის სისტემის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს. სოციალური პარტნიორობის მნიშვნელოვანი ნაწილია კავშირურთიერთობის მენეჯმენტი. კომპანია ოპტიმალურად უნდა იყოს ორიენტირებული კონკურენტ კომპანიაზე და მომხმარებელზე ანუ მიზნობრივ აუდიტორიაზე. სოციალურმა ადაპტაციამ უნდა განაპირობოს სტრუქტურული ურთიერთობა ხელმძღვანელობასა და პერსონალს შორის. ადამიანმა რომ მიაღწიოს წარმატებას ახალ სამუშაო ადგილზე, მენეჯერმა უნდა იცოდეს, რომ ორგანიზაცია არის სოციალური სისტემა, ხოლო ყოველი მომუშავე – უნიკალური პიროვნება. ადამიანს ახალ ორგანიზაციაში მოსვლით თან მოაქვს ადრე დაგროვებული გამოცდილება და შეხედულება. ამ პერიოდში სოციალური ადაპტაციის გზით (სოციალიზაცია) პიროვნება გამოიმუშავებს ახალ ურთიერთობას სამუშაოსადმი. სოციალური ადაპტაცია არის სოციალური პარტნიორობის უმთავრესი წინაპირობა.

თემის მიზნებსა და ამოცანებს წარმოადგენს ინდივიდუალური პასუხისმგებლობა და გუნდურობა, შიდა კონკურენცია და ცენტრალიზებული კონტროლი, „უსაფრთხოების კულტურა“, კულტურის ფენომენის გაცნობიერება, კულტურული ტრანსფორმაციის პირობებში ყალიბდება ე.წ. ფსიქოლოგიური უსაფრთხოება, რომლის მოდულარული მიდგომა მდგომარეობს შემდეგში: ქცევის მოდელი – სტრუქტურული ცვლილებების გათვალისწინებით.